

ოქმი #11
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2020 წელი, 28 მაისი
 ქ. ოზურგეთი
 11.00 – 11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:
 გ.ღურჯუმელიძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, ლ.საჯაია,
 შ.გოგიბერიძე, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, დ.ჭაკნელიძე, ტ.აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 10, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 4 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

ამ საკითხის განხილვისას სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ მთავრობამ მხარი დაუჭირა დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის თაობაზე მუნიციპალიტეტიდან გაგზავნილ თხოვნას და საკრებულო დაჩქარებული წესით მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელი ფაქტია გომისმთის ტერიტორია ოფიციალურად დაუმტკიცდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის თაობაზე ჩატარდა ელექტრონული გამოკითხვა, შენიშვნები არ შემოსულა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას. ასევე, დადგენილი წესით

გამოქვეყნდა ადგილობრივ ბეჭდურ მედიაში და განთავსდა განცხადებები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ შენობებში. მოსაზრებები და შენიშვნები წარმოდგენილი არ არის. ამდენად, საკრებულოს უფლება აქვს დაჩქარებული წესით მიიღოს დადგენილება.

პროექტი განსახილველად დაეწერება დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

გადაწყვეტის:

1. საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. საკითხი განსახილველად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (ლ. ბიგვავა).

3. საკრებულოს სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 29 მაისს ოზურგეთის ფოლკლორული ცენტრის სხდომათა დარბაზში 12.00-საათზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო